# ქალი, როგორც ინსპირაციის წყარო (ჰენრიკ იბსენის პიესის „თოჯინების სახლი“ მაგალითზე)

ივანე ხუციშვილი

***საკვანძო სიტყვები:*** *ჰენრიკ იბსენი, თოჯინების სახლი, მოჩვენებები, ლაურა კილერი, სუზანა იბსენი, ნორა, ფრუ ალვინგი, ჰედვიგ ნიემან-რაბე, თამუნა ნიკოლაძე*

ნორვეგიელ დრამატურგ ჰენრიკ იბსენის შემოქმედებაში „თოჯინების სახლი“ ყველაზე გახმაურებული, სკანდალური და ხშირად დადგმული პიესაა. შეიძლება ითქვას, რომ ესაა რეჟისორების ინსპირაციის წყარო და გზა, რომელიც ქალის საშუალებითა და მის მაგალითზე, ადამიანის არსისა და მნიშვნელობის გააზრება-გადაფასებას აპირობებს. მაგრამ, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პიესის დოკუმენტური ბიოგრაფიაა, კონტექსტი, თუ სად პოულობს ავტორი პიესის შექმნის ინსპირაციის წყაროს და რომელი ხელოვანი ქალის პირადი ბიოგრაფია ხდება შთაგონება ახალი, სკანდალური და მწვავე სადისკუსიო პიესის – „თოჯინების სახლის“ შექმნის საფუძველი.

„თოჯინების სახლი“ რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული. მთავარი გმირის – ნორას პროტოტიპად დრამატურგმა ნორვეგიელ მწერალ ქალ ლაურა კილერის[1] (1849-1932) ბიოგრაფია და კონკრეტულად ის ეპიზოდი გამოიყენა, რომელიც მეუღლესთან თანაცხოვრების პერიოდს ასახავს.

ჰენრიკ იბსენისა და ახალგაზრდა მწერლის ურთიერთობა პიესა „ბრანდის“ გავლენით დაიწყო. 19 წლის ლაურა კილერი წერს წიგნს „ბრანდის ქალიშვილები“ და 1869 წელს, ლილის ფსევდონიმით გამოსცემს წიგნს. პიესის გაცნობის შემდეგ, იბსენი ლაურა კილერს ურჩევს, წერა გააგრძელოს.

მათი ნაცნობობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა. საგულისხმოა, რომ მწერალი ქალი კრიზისიდან ლიტერატურის ერთგულებამ გამოიყვანა – სწორედ საკუთარი შემოქმედების წყალობით დაგროვილი თანხით შეძლო დიდი ვალის გადახდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ლაურა კილერი დედასთან ერთად დანიაში გადასახლდა, სადაც 1873 წელს, ვიქტორ კილერზე დაქორწინდა. ვიქტორ კილერი ავადმყოფურად განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს და კრიტიკულ სიტუაციებში მეუღლის მიმართ სისასტიკესაც ავლენდა. 1876 წელს იგი ტუბერკულოზით დაავადდა და სამხრეთით მკურნალობა დასჭირდა. ლაურა კილერმა ბანკიდან, მდიდარი მეგობრის თავდებით, სესხი ფარულად აიღო და ოჯახი შვეიცარიასა და იტალიაში გაემგზავრა. ვიქტორ კილერი განიკურნა.

უკან დაბრუნებისას, მიუნხენში კილერებმა იბსენის ოჯახი მოინახულეს. ლაურა კილერმა იბსენის მეუღლეს, სიუზანს სესხის საიდუმლო გაუმხილა.

დანიაში დაბრუნების შემდეგ ისევ საჭირო გახდა თანხების მოძიება სხვა ქალაქში გადასასვლელად, ამიტომ ლაურა კილერი კვლავ იძულებული გახდა, აეღო სესხი, რომლის დაფარვაც ძალიან გაუჭირდა და მეუღლეს ყველაფერში გამოუტყდა. ვიქტორ კილერი თავიდან თითქოს მხარს უჭერდა, მაგრამ „ნათესავების, მეგობრებისა და მთელი საზოგადოებრივი აზრის გავლენით“ განქორწინება მოითხოვა, ქალს ბავშვების ნახვა აუკრძალა და მეტიც – მათი წართმევა გადაწყვიტა.

ამ მოვლენების ნიადაგზე ლაურას ნერვული აშლილობა დაეწყო და ერთი თვის განმავლობაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა.

1 ლაურა კილერი, ვიქტორ კილერთან შეუღლების (1873) შემდეგ გადადის ქმრის გვარზე. მისი ნამდვილი გვარია – პიტერსონი.

თუმცა, ორი წლის შემდეგ, ვიქტორ კილერი ცოლს ოჯახში დაბრუნებას სთხოვს და ისიც თანხმდება.

ლაურა კილერი ლიტერატურულ საქმიანობას იწყებს და თანდათანობით პირადი შემოსავლებიდან, ქმრის ჯანმრთელობის გამო აღებულ ვალს იხდის.

(მკვლევრები ასევე აღნიშნავენ, რომ ლაურა კილერი კიდევ ორჯერ შეხვდა ჰენრიკ იბსენს და გავლენაც მოახდინა მოგვიანებით დაწერილ მის პიესებზე „მშენებელი სოლნესი“ და „როდესაც ჩვენ, მკვდრები ვიღვიძებთ“).

აი, ეს დოკუმენტური ამბავი დაედო საფუძვლად პიესის „თოჯინების სახლი“ დაწერას. სწორედ ამგვარი დოკუმენტური სინამდვილე განაპირობებს მწერალში ახალი სინამდვილის შექმნას და ეს სინამდვილე უკვეა საზომი მომავალი ტექსტის ფაბულის, სიუჟეტისა და თუ კარგად დავაკვირდებით, პიესის გრძნობათა ბუნების ერთგვარი კომპასიც, რომლის მეშვეობით მწერალი თავისი განუმეორებელი ოსტატობით ქმნის ახალ დრამას და დრამატურგიულ ნახაზში აქცევს დოკუმენტურ მასალას.

ამ შემთხვევაში, მისი ინსპირაციის ობიექტი ახალგაზრდა მწერალი ქალის - ლაურა კილერის ბიოგრაფიაა!..

„იბსენი, როგორც ფსიქოლოგი და ადამიანთმცოდნე“,[2] ფილიგრანული ოსტატობით იწყებს, კონკრეტულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ახალი სათეატრო ტექსტის შექმნას და ინსპირაციის ობიექტს იყენებს როგორც გზამკვლევს.

პიესის განვითარების ყველა დრამატურგიულ ეტაპს ამოწმებს დოკუმენტურ სინამდვილესთან, რადგან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეულია, შეინარჩუნოს ის გრძნობათა ბუნება, თუ რა ვითარებაში ხდება მწერლამდე დოკუმენტური ამბის მიტანა, რადგან ეს ვითარება ხდება პიესისა და ყველა დიალოგის ერთგვარი ფორმა, რომლებსაც ქმნის იბსენი.

პიესის შინაგანი არქიტექტურის უმთავრესი წახნაგებია: ოთხ კედელში, გასაიდუმლოებულ და დაფარულ მოცემულობაში გამომწყვდეული პირადი ვნება, რომელიც ადამიანებს შორის გროვდება და მათ საწინააღმდეგოდ მუშაობს; დაფარული სიკეთე, შემდგომში, როგორც საკუთარი თავის განადგურების იარაღი ან დაგროვილი და უთქმელი ამბები/შეცდომები საკუთარი თავის გასასამართლებლად და აღმოსაჩენად; ქალი, როგორც სამყაროს ვნებების მხილების იარაღი.

ახალი დრამაც იმ მთავარ ფასეულობებზე დგას, რომელიც ცდილობს ადამიანის მეშვეობით იკვლიოს და აღმოაჩინოს ადამიანის მნიშვნელობა და როლი სამყაროში, რაც ისევ მის შექმნას და განადგურებას უწყობს ხელს.

ადამიანის პირადი სინამდვილის კონსტრუირება იყო, არის და იქნება ამოსავალი წერტილი ხელოვნებაში. ადამიანთა ბიოგრაფიები ქმნიან ახალ სინამდვილეს ხელოვნების ყველა დარგში. ეს ბიოგრაფიები განაპირობებენ ხელოვნების სინამდვილის ხარისხს, სიცოცხლისუნარიანობას, მათ მნიშვნელობას, აქტუალობასა და გავლენას საზოგადოებაზე.

სწორედ ამ ნიშან-თვისებების საფუძველზე, 1879 წელს იბსენი ქმნის ახალ პიესას, რეალური და დოკუმენტური ფაქტებით ინსპირირებულ რეალისტურ დრამას „თოჯინების სახლი“, რომლის სიუჟეტი პარალელურ რეჟიმში მიჰყვება ლაურა კილერის ბიოგრაფიას და ნორას - მთავარი გმირის ხაზს ამ დოკუმენტურ ფაბულაზე დაყრდნობით ავითარებს.

პიესაში მთავარი გმირი - ნორა, ქმრის ავადმყოფობის გამო, იღებს ვალს და ამ ვალს ეწირება მისი ოჯახი.

მოქმედება ადვოკატ ტორვალდ ჰელმერის სახლში ვითარდება, იგი ბანკის დირექტორის თანამდებობაზე ინიშნება და აღარ მოუწევს მიუღებელ მდგომარეობაში - ვალებში ცხოვრება. ტორვალდი ყოველთვის უთითებს ნორას, არ გაფლანგოს ფული სისულელეებში.

ნორასთან დიდი ხნის მეგობარი, ქრისტინა ლინე ჩადის, რომელსაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფინანსურად გაუჭირდა და სამსახურს ეძებს. ნორა ჰპირდება ფრუ ლინეს, რომ ტორვალდს სთხოვს დააწყებინოს მუშაობა. ნორა უყვება მას სესხის შესახებ, რომელიც ქმრისგან ფარულად, მისივე მკურნალობისთვის, მამისგან აიღო.

მალე ირკვევა, რომ ნორამ ფული არა მამისგან (მისი ხელმოწერა, მისივე სიკვდილის შემდეგ, ნო-

2 ლორია, 2011.

რამ გააყალბა), არამედ კერძო რწმუნებულისგან - კროგსტადისგან ისესხა, რომელიც ახლა ქალს ქმართან შუამდგომლობას სთხოვს, რათა ჰელმერმა ის სამსახურიდან არ დაითხოვოს. კროგსტადის თხოვნა შანტაჟში გადაიზრდება. ნორას დიდი მცდელობის მიუხედავად, ჰელმერი მაინც უშვებს კროგსტადს ბანკიდან და მის ადგილზე ქრისტინა ლინე აჰყავს.

კროგსტადი იწყებს საიდუმლოს გამჟღავნებას და წერილობით ატყობინებს ჰელმერს მეუღლის უკანონო ქმედებას და სასამართლოში ჩივილით ემუქრება, რაც საზოგადოებაში რეპუტაციის შელახვასა და სამსახურის დაკარგვას არ გამორიცხავს.

ქრისტინა ამშვიდებს ნორას, რომ კროგსტადთან ძველ ურთიერთობას გამოიყენებს და წერილს უკან წააღებინებს. კროგსტადი ფრუ ლინესთან შეხვედრისას, ქრისტინაზე დაქორწინების დიდი ხნის სურვილს ამჟღავნებს და შანტაჟზე უარს ამბობს. თუმცა უკვე გვიანია. ქრისტინაც ფიქრობს, რომ ყველაფერი უნდა გამჟღავნდეს და გაირკვეს.

ჰელმერი კითხულობს წერილს და „კრიმინალ“ ცოლს ბავშვებთან ურთიერთობასა და აღზრდას უკრძალავს. თუმცა ეუბნება, რომ - „...სხვების დასანახად შენ, რასაკვირველია, სახლში დარჩები. მაგრამ ბავშვების აღზრდას ვეღარ განდობ...“[3] ჰელმერი ყველაფერს საზოგადოების თვალით აფასებს. ამ ვითარებაში, კროგსტადისგან მოდის მეორე წერილი, რომლითაც ნორას ხელწერილს უბრუნებს და ყველაფერზე ბოდიშს უხდის.

წერილს ჰელმერი კითხულობს და პირველი მისი ფრაზაა - „გადავრჩი! ნორა, გადავრჩი!“,[4] რაზეც ნორა პასუხობს - „კი მაგრამ, მე?“.[5] რადგანაც საზოგადოებისთვის ეს ფაქტი არ მჟღავნდება, ჰელმერი ყველაფერს პატიობს ნორას და ბოდიშსაც უხდის, აღიარებს, რომ გვიან მიხვდა ცოლის სიკეთეს. ნორა კი მომხდარის გააზრებას, თავისი ცხოვრების შემდეგ კონცეფციამდე მიჰყავს - „შენ არასოდეს არ გესმოდა ჩემი. ძალიან უსამართლოდ მომექეცით ყველა, ჯერ მამაჩემი, მერე - შენ“.[6] „მამაჩემი თავის თოჯინას მეძახდა და ისე ერთობოდა ჩემით, როგორც მე - ჩემი თოჯინებით. მერე კი შენს სახლში ამოვყავი თავი“.[7] „მე აქ ვიყავი შენი თოჯინა-ცოლი, ისევე როგორც მამაჩემის სახლში - მისი თოჯინა-შვილი. ბავშვები კი ჩემი თოჯინები იყვნენ“.[8]

ნორა სახლიდან წასვლას გადაწყვეტს. ჰელმერი მოვალეობების შეხსენებას ცდილობს: „შენ, უწინარეს ყოვლისა, ცოლი და დედა ხარ“.[9]

ამაზე ნორა პასუხობს: „ეგ უკვე აღარ მჯერა. მე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი ვარ, ისეთივე ადამიანი, როგორც შენ, ან, ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადო, გავხდე ადამიანი“.[10] და ნორა სახლიდან მიდის. პიესა შემდეგი რემარკით მთავრდება: „ქვემოთ გრუხუნით იხურება კარი“.[11]

ნორას კარის გაჯახუნება უფრო ხმაურიანი აღმოჩნდა იმდროინდელი საზოგადოებისთვის. ნორა, თავისი საქციელით, ყველა იმ ქალის ინსპირატორი და წამქეზებელი გახდა, რომლებიც თავიანთი უფლებებით „დაყვანილი იყვნენ სამ „K“ ფორმულამდე; „Kinder-Küche-Kirche“ - ბავშვები - სამზარეულო - ეკლესია“.[12]

„თოჯინების სახლის“ ინსპირატორი - ლაურა კილერიც - ამ შეხედულებების მსხვერპლია და ემორჩილება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დოგმებს. ლაურა კილერი ვერ იღებს პასუხისმგებლობას - შესაბამისად, პირად გადაწყვეტილებას და შინ ბრუნდება, ნორა კი თავისი გადაწყვეტილებით, სახლიდან მიდის.

რამდენად მტკივნეულიც უნდა იყოს, ნორა მაინც დისტანცირდება მოვლენასთან, რადგან მას საკუთარი თავის შეცნობა და გარკვევა სურს - ვინ არის მართალი, ის თუ საზოგადოება?!

3 იბსენი „დრამები“, 1994, გვ. 413
4 იქვე, გვ. 414.
5 იქვე.
6 იქვე, გვ. 416.
7 იქვე.
8 იქვე, გვ. 417.
9 იქვე, გვ. 418.
10 იქვე.
11 იქვე, გვ. 422.
12 გელოვანი, ჰენრიკ იბსენი, 1957. გვ. 23.

„იბსენის შემოქმედების მთავარი ამოცანა იყო - პიროვნებასა და მის გარემომცველ ვითარებებს შორის კონფლიქტის გარკვევა“.[13]

იბსენისთვის ლაურა კილერში დაგროვილი ტკივილები ხდება ინსპირაციის წყარო. ამ ტკივილებს ხედავს საზოგადოებაშიც და უნდა, ახლა მისი გმირი „ნორა“ გახდეს ინსპირატორი საზოგადოების, რომელიც ითმენს და ხმამაღლა არ საუბრობს თავის პრობლემებზე/ტკივილებზე.

„არაჩვეულებრივი ფსიქოლოგი, მგრძნობიარე ხელოვანი - იბსენი იკვლევდა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს წვრილბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში“.[14]

პიესა „თოჯინების სახლი“ იმის რეალური მაგალითია, თუ როგორ იქმნება ლიტერატურა, რომელიც თავის თავში იტევს კონკრეტული ადამიანის (ქალის) ცხოვრებისეულ, დოკუმენტურ მასალას და როგორ ხდება ამ ადამიანების (ქალების) ცხოვრება ინსპირაცია მხატვრული ნაწარმოების შექმნისას.

ცხოვრებაში დაგროვილი ტკივილები ადამიანის ღირსების ნაწილია და ის, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სახით ტრანსფორმირდება ხელოვნებაში. სწორედ ასეთი ლიტერატურა იწვევს ყველაზე მეტად შემხებლობას ადამიანებში და ტკივილები გამოცდილებად გარდაიქმნება.

ადამიანში შეცდომების და ტკივილების დაგროვება უკვე ხელოვნებაა, რადგან საკუთარ თავს გაუცნობიერებლად უქმნი ახალ დოკუმენტურ ბიოგრაფიას, რომელიც ქვეცნობიერში ამ ამბების დაცლას და საკუთარი თავიდან გათავისუფლებას განაპირობებს. ეს დაცლა - ანუ სხეულის და გონების გათავისუფლება - იწვევს კათარსისსა და მზაობას ახალი ტკივილების მისაღებად. ახალი ბიოგრაფიის შესაქმნელად!

დრამატურგიაში „ნორას“ გმირი ის მოვლენაა, როცა პერსონაჟი მსახიობში ინსპირირდება, როგორც მოქალაქეობრიობის თვითგამოხატვის იარაღი და იქცევა ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ნაწილად. იბსენის გმირები ხშირად ხდებიან კონკრეტული არტისტების პირადი ბიოგრაფიის ნაწილი და ისინი ხშირ შემთხვევაში ინსპირირებენ მათში დაფარული შესაძლებლობების გამოვლენას/მხილებას, როგორც არტისტული, ისე მოქალაქეობრივი და პიროვნული ფასეულობების.

ასეთი გმირების თამაში, უფრო სწორად, მათი პოზიციებიდან საუბარი, ყოველთვის საჭიროებს არტისტის, როგორც პიროვნების, იმ სიმართლეს, რომელიც მხოლოდ სამსახიობო ოსტატობით ვერ მიიღწევა და პიროვნულ და მოქალაქეობრივ სიმყარესა და გულწრფელობას მოითხოვს.

პირველივე დადგმამ, რომლის პრემიერაც 1879 წლის 21 დეკემბერს, კოპენჰაგენის სამეფო თეატრში გაიმართა, დიდი სკანდალი გამოიწვია დრამატურგსა და მსახიობს შორის. მსახიობი - ჰედვიგ ნიემან-რაბე[15] აღშფოთებული იყო და კატეგორიულად უარყოფდა იბსენის შეთავაზებულ ფინალს და მის გადაკეთებას მოითხოვდა. „მან თქვა: პირადად მე ბავშვებს არ მივატოვებდიო“.[16] მსახიობს არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა დედას დაეტოვებინა სამი შვილი და ოჯახი დაენგრია. იბსენი იძულებული იყო, წასულიყო კომპრომისზე და შექმნა ფინალური სცენის ახალი ვერსია, რომელიც ასე ვითარდებოდა:

„ნორა - მშვიდობით! (უნდა წავიდეს)

ჰელმერი - ჰოდა, წადი (ხელში ხელს დასტაცებს). მაგრამ ჯერ უკანასკნელად შეხედე შენს შვილებს!

ნორა - გამიშვი! არ მინდა შვილების ნახვა! არ შემიძლია!

ჰელმერი - (ძალით მიჰყავს ბავშვების დასაძინებელ ოთახისაკენ) უნდა შეხედო! (კარს აღებს და წყნარად ელაპარაკება) შეხედე! აი, სძინავთ... უშფოთველად, წყნარად. დილით კი გაიღვიძებენ, დაუწყებენ ძახილს დედას და - გაიგებენ, რომ დედა აღარ ჰყავთ.

ნორა - (შეშფოთებული) დედა აღარ ჰყავთ.

ჰელმერი - როგორც შენ არ გყავდა.

ნორა - დედა აღარ ჰყავთ! (ძლიერი შინაგანი მღელვარების შემდეგ ხელიდან უვარდება შეკვრა). ო, მეც ვცოდავ საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ არ შემიძლია მათი მიტოვება (უძლურად ეშვება კარებ-

13 თუმანიშვილი, თხზავს, 2004. გვ. 45.

14 იქვე.

15 ჰედვიგ ნიემან-რაბე (Hedwig Niemann-Raabe) - გერმანელი მსახიობი.

16 გელოვანი 1957, გვ. 24.

თან).

ჰელმერი - (სიხარულით მაგრამ წყნარად) ნორა!"[17]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქციელით თვითონ იბსენი მოეპყრა ნორას ისე, როგორც ლაურა კილერს - მეუღლე - როგორც თოჯინას - და უარყო პიესის მთავარი იდეა, რის გამოც ის დაწერა.

თუმცა ვფიქრობ, ასეთი ფინალი და ლიტერატორების დაუნდობელი კრიტიკა - „ყველაფერი კარგი, მაგრამ შვილები?", „შვილების მიტოვება როგორღა შეიძლება?" გახდა ინსპირაციის წყარო, რომ იბსენს შეექმნა ახალი პიესა - „მოჩვენებები" და უფრო მწვავედ ესაუბრა შედეგზე, რომ ნორას შეგუება ანუ სახლში დარჩენა არ/ვერ იქნებოდა პრობლემების მოგვარების გარანტი, თუ რა ფატალური შედეგი (სამწუხაროდ, ერთგვარი კანონზომიერებით) შეიძლებოდა დატყდომოდა თავს მათ ოჯახს.

„ნორა", შემდეგ კი „მოჩვენებები" მთელი ძალით ამხელდნენ მთელ იმ სიცრუეს, რომელზედაც იყო აგებული ცოლქმრობისა და თანაცხოვრების კედლები. „ნორამ" აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია. იბსენს საყვედურობდნენ, რომ მან ხელი აღმართა ქორწინების ხელშეუხებლობაზე. საზოგადოება არ პატიობდა იმას, რომ ნორამ შვილები მიატოვა. ამ აღშფოთებას იბსენმა „მოჩვენებებით" უპასუხა. „ნახეთ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ნორა სახლიდან რომ არ წასულიყო!"[18] - ამბობს იბსენი.

ასე რომ, ლიტერატურული გმირი ნორა და მსახიობი ჰედვიგ ნეიმან რააბე ხდებიან ინსპირაციის წყარო ახალი პიესის „მოჩვენებები" და პერსონაჟის - ფრუ ალვინგის შექმნის მიზეზი.

ჰენრიკ იბსენი პიესებში, ყოველთვის ცდილობს ამბავი დაასრულოს ისე, რომ თხრობა არ დამთავრდეს და არ დაკონკრეტდეს, ის ტოვებს სივრცეს, სადაც მკითხველს/რეჟისორს აქვს საშუალება ამბავი თვითონ დაასრულოს და აქვე აფრთხილებს, რომ ფინალი არ უნდა იყოს პასუხი და მორალი მაყურებლისთვის.

იბსენი სვამს უმწვავეს კითხვებს, ხოლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მსმენელისა და მაყურებლის ხელშია, მკითხველი თავისუფალია გააზრებაში და ასევე მაყურებელსაც უნდა დაუტოვოს არჩევანი რეჟისორის მიერ გააზრებულმა ფინალმა.

ეს არის იბსენის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი მისი გრძნობათა ბუნების დასადგენად და გასააზრებლად. თითქმის ყველა პიესის დასასრული ახალი პიესის ერთგვარი დასაწყისია, განსაკუთრებით „თოჯინების სახლი" და „მოჩვენებები".

ასე პირადი ბიოგრაფიებით არის ინსპირირებული ყველა ეტაპი, რომელიც პიესის „თოჯინების სახლი" შექმნის ისტორიას უკავშირდება, დაწყებული ლაურა კილერით და დამთავრებული ჩემ მიერ დადგმულ „თოჯინების სახლში"[19] ნორას შემსრულებელი მსახიობ - თამუნა ნიკოლაძის სახით, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ნორამ გაზარდა, პერსონაჟმა ბევრი რამ ასწავლა და ხშირ შემთხვევაში, პირად ცხოვრებაში ბევრი პრობლემის დაძლევის ინსპირატორი გახდა.

არიან პერსონაჟები, რომლებიც მსახიობის ავტობიოგრაფიის ნაწილი ხდებიან, რადგან ეს პერსონაჟები ინსპირირებულია დოკუმენტური სინამდვილიდან და მათი არსებობაც მხატვრულობისა და დოკუმენტურობის, სინამდვილისა და წარმოსახვის, რეალურისა და ირეალურის ზღვარზე გადის, როგორც ყველა ჩვენგანის ცხოვრება.

ლაურა კილერი - სუზანა იბსენი - ნორა ჰელმერი - ჰედვიგ ნიემან რააბე - ფრუ ალვინგი და ასე დაუსრულებლად - ყველა ეს რეალური და ლიტერატურული გმირი ერთმანეთით ინსპირირებული პერსონები არიან და ასევე, თითქოს დამოუკიდებლად ქმნიან ერთმანეთს. ეს ის ლოგიკური ჯაჭვია, რომელიც ქმნის ქალის მხატვრულ და დოკუმენტურ გააზრებას და მნიშვნელობას, როგორც უდიდესი მამოძრავებელი ძალის, ვისი საშუალებითაც შეიცნობა თითქმის ყველა ადამიანური წინააღმდეგობა.

ქალი დიდი შესაძლებლობა, გამოცდილება, ბალანსი და არეალია თანამედროვე ცხოვრებასა და გამოწვევებში. ამიტომ ხშირად არის გასაანალიზებელი, თუ რამხელა ძალა აქვს მას საზოგადოებაში და რა მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს ქალის ფენომენმა ცხოვრებასა და ხელოვნებაში, როგორც დიდი მოვლენების ყველაზე მგრძნობიარე

17 იქვე.

18 თუმანიშვილი, თხზავს, 2004, გვ, 45-46.

19 სპექტაკლის „თოჯინების სახლი" პრემიერა შედგა 2011 წლის 26 მაისს, თავისუფალ თეატრში.

გამტარმა, როგორც ვნებების დოკუმენტალისტმა და მეამბოხემ, და ხშირ შემთხვევაში, მწვავე და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვების დასმის სივრცის შემქმნელმა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- გელოვანი აკაკი - „ჰენრიკ იბსენი“, „თბილისი“, 1957.
- თუმანიშვილი მიხეილი - ფიქრობს, ასწავლის, თხზავს... მ.თუმანიშვილი თხზავს. თბილისი 2004. გვ. 44-47.
- იბსენი ჰენრიკ - „დრამები“, მეორე ტომი. „ირმისა“ 1995.
- იბსენი ჰენრიკ „დრამები“, პირველი ტომი. „ირმისა“ 1994.
- ლორია კახაბერ „რეალიზმი ჰენრიკ იბსენის დრამატურგიაში“ 2011. https://www.tsu.ge/data/file_db/scandinavian-studies/Ibsenis-Realizmi.pdf
- Адмони. В. «Генрик Ибсен: Очерк творчества». 1989. Глава 13. «Кукольный дом» и «Привидения». Глава 11. «Новая драма» Ибсена
- Гиленсон Б.А.: История зарубежной литературы конца XIX – начала XX века. Глава XI. Г. Ибсен: «архитектор» «новой драмы», 2019.
- Шоу Бернард. О драме и театре, Москва, 1963.

# WOMAN AS A SOURCE OF INSPIRATION (On the example of Henrik Ibsen's play "A Doll's House")

Ivane Khutsishvili

***Keywords:*** *Henrik Ibsen, A Doll's House, Ghosts, Laura Kieler, Suzannah Ibsen, Nora, Fru Alving, Hedwig Niemann-Raabe, Tamuna Nikoladze*

"A Doll's House" is the most widely-known, scandalous and frequently staged play by Norwegian playwright Henrik Ibsen, directors' source of inspiration and the way which leads to understanding and re-evaluating human essence and meaning through the woman and on her example. However, the most interesting and important is the documentary biography of the play, the context, where the author finds inspiration to create a play and the personal biography of which woman artist serves as the grounds for creating a new, scandalous and hotly debated play, "A Doll's House."

"A Doll's House" is based on real events. The playwright used the biography of Norwegian writer Laura Kieler[1] (1849-1932) as the prototype of the main heroine, Nora, and specifically the episode that depicts the period of her life with her husband.

The relationship between Henrik Ibsen and the young writer began under the influence of the play "Brand." Laura Kieler, wrote "Brand's Daughters" and published the book under the pseudonym Lily in 1869. After being introduced with the play, Ibsen advised Laura Kieler to continue writing.

Their acquaintance soon turned into a friendship. Notably, the woman writer was brought out of the crisis by her devotion to literature: she was able to pay off a large debt thanks to her creativity.

After the death of her father, Laura Kieler moved to Denmark with her mother, where in 1873 she married Victor Kieler, who was suffering from financial problems and also showed cruelty towards his wife in critical situations. In 1876, he contracted tuberculosis and needed treatment in the south. Laura Kieler secretly took a loan from a bank, backed by a wealthy friend, and the family traveled to Switzerland and Italy. Victor Kieler was cured.

On their way back, the Kielers visited the Ibsen family in Munich. Laura Kieler revealed the secret of the loan to Ibsen's wife, Suzannah.

After returning to Denmark, it again became necessary to raise funds to move to another city, so Laura Kieler was again forced to take out a loan, which was very difficult to repay and the woman confessed everything to her husband. Victor Kieler initially seemed supportive, but "under the influence of relatives, friends and public opinion," he filed for a divorce, barred the woman from seeing her children, and even decided to take them away.

Consequently, Laura had a nervous breakdown and was treated in a psychiatric hospital for a month. However, two years later, Victor Kieler asked his wife to return to the family and she agreed.

Laura Kieler started her literary career and gradually paid off the debt owed on her husband's health. (Researchers also note that Laura Kieler met Henrik Ibsen on two more occasions and also influenced his later plays, "The Builder Solnes" and "When We Dead Awaken").

This very documentary history became the basis for writing the play "A Doll's House." It is this kind of documentary reality that creates a new reality in the writer, and this reality is already a measure of the plot, the story of the future text, and if we look closely, a kind of a compass of the play's nature of feelings, by means of which the writer creates a new drama with his unique mastery and frames the documentary material into a dramatic drawing.

In this case, the object of his inspiration is the biography of a young woman writer Laura Kieler!

1 Laura Kieler-after marrying Victor Kieler (1873) she took her husband's surname. Her maiden name was Peterson.

"As a psychologist and humanist",[2] Ibsen, begins with filigree mastery and creates a new theatrical text based on a specific documentary material, and uses the object of inspiration as a guideline.

He examines all dramatic stages of the play development with documentary reality, because it is most important and valuable for him to preserve the nature of feelings in the situation in which the documentary is delivered to the writer, since this situation becomes a form of the play and of all dialogues which Ibsen creates.

The main facets of the play's interior architecture are a personal passion locked in four walls, in a secret and hidden setting that accumulates among people and works against them; hidden kindness, hereafter, a weapon of self-destruction or accumulated and untold stories/ mistakes to judge and discover oneself; the woman as a weapon of revealing the passions of the world.

The new drama also focuses on the core values that seek to explore and discover the importance and role of the man in the world through human beings, which in turn contribute to their creation and destruction.

The construction of personal human reality was, is and will be the starting point in art. Human biographies create a new reality in all fields of art. These biographies determine the quality of art reality, its viability, importance, relevance and impact on society.

Based on these very features, in 1879 Ibsen created a new play, "A Doll's House," a realistic drama inspired by realistic and documentary facts, the plot of which follows Laura Kieler's biography in parallel and develops Nora, the main character's line based on this documentary plot.

The protagonist of the play, Nora, takes a debt due to her husband's illness and her family is sacrificed to this debt.

The action takes place at lawyer Torvald Helmer's house, he is appointed to the position of the bank director and will no longer have to live in an unacceptable position, in debts. Torvald always points out to Nora not to waste money on nonsense.

Nora's longtime friend Kristina Linde visits her; she has been struggling financially since the death of her husband and is looking for a job. Nora promises Fru Linde that she will ask Torvald to help her start work. Nora tells her about the loan which she took from her father in secret for her husband's treatment.

It soon becomes clear that Nora borrowed the money not from her father (his signature was forged by Nora after his death) but from a private trustee, Krogstad, who is now asking the woman for petition to her husband so that Helmer will not fire her. Krogstad's request will turn into blackmail. Despite Nora's best efforts, Helmer fires Krogstad from the bank and employs Kristina Linde in his place.

Krogstad begins to reveal the secret and informs Helmer in writing of his wife's illegal actions and threatens to sue, which does not rule out damaging her reputation in community and losing her job.

Kristina comforts Nora that she will use her old relationship with Krogstad to retrieve the letter. During a meeting with Fru Linde, Krogstad expresses a long-held desire to marry Kristina and refuses to blackmail. Too late, though. Kristina also thinks that everything should be revealed and clarified.

Helmer reads the letter and forbids his "criminal" wife to have relations with the children and raise them. However, he says, "... to show others, of course, you will stay at home. But you can no longer be trusted to raise the children...."[3]

Helmer values everything from society's viewpoint. In this situation, a second letter comes from Krogstad, in which he returns Nora a written acknowledgment and apologizes for everything.

Helmer reads the letter and his first phrase is "I survived! Nora, I survived!"[4] Nora answers, "Yes, but what about me?"[5] Since this fact is not disclosed to the public, Helmer forgives Nora for everything and even apologizes, admitting that he later realized his wife's kindness. Perception of what happened takes Nora to the next concept of her life: "You have never understood me. You have treated me very unjustly, first my father, then you".[6]

2 K. Loria, 2011.
3 Ibsen, Dramas, 1994, p. 413.
4 Ibid. p. 416.
5 Ibid.
6 Ibsen Dramas 1994, pp. 417.

"My father called me his doll and he got entertained with me as I did with my dolls. Then I found myself at your house".[7] "I was here your doll-wife, as in my father's house—I was his doll-child. And the children were my dolls".[8]

Nora decides to leave the house. Helmer tries to remind her of her duties: "You are, first of all, a wife and a mother".[9] Nora answers, "I no longer believe that. I am, first of all, a human, the same person as you, or, at least, I should try to become a human".[10] And Nora leaves home. The play ends with the following remark: "Downstairs the door closes with a rumble".[11]

Nora's slamming the door turned out to be noisier for the public at the time. Through her behavior, Nora inspired all women who, by their rights, were "reduced to three Ks: Kinder-Küche-Kirche, that is, Children-Kitchen–Church".[12]

The inspirer of "A Doll's House," Laura Kieler, is also a victim of these views and obeys the dogmas formed in society. Laura Kieler cannot take responsibility, and therefore a personal decision, and returns home, while Nora, acts with decision-leaves home.

However painful, Nora still distances herself from the event because she wants to perceive and clarify herself, who is right, she or society?

"The main task of Ibsen's work was to clarify the conflict between the person and the circumstances around him".[13]

For Ibsen, the pain accumulated in Laura Kieler becomes a source of inspiration. He sees these pains in society as well and he wants his heroine "Nora" to inspire society, as she is patient and does not speak loudly about her problems/pains.

"An extraordinary psychologist, a sensitive artist, Ibsen studied different aspects of human life in the conditions of a petty bourgeois society".[14]

The play "A Doll's House" is a real example of how literature is created, which in itself contains life, documentary material of a particular person (woman) and how the life of these people (women) becomes inspiration when creating a work of art.

The pain accumulated in life is part of human dignity and it is often transformed in many ways in art. This literature causes the most concern in humans and pain is transformed into experience.

Accumulation of mistakes and pains in a person is already an art, because you involuntarily create a new documentary biography, which causes news to empty into subconscious and release itself. This emptiness—that is, the release of the body and mind—leads to catharsis and willingness to accept new pains. To create a new biography!

The protagonist of "Nora" in dramaturgy is the occasion when the character is inspired in the actor as a tool of self-expression of citizenship and becomes an important part of the biography. Ibsen's characters often become part of personal biographies of specific artists, and often inspire revelation/disclosure of hidden opportunities in them, both artistic and civic and personal values.

Playing such characters, or rather, speaking from their positions, always takes the truth of an artist as a person, which cannot be achieved by only acting and requires personal and civic solidity and sincerity.

The very first staging, which premiered at the Royal Theater in Copenhagen on December 21, 1879, caused a great deal of scandal between the playwright and the actress. The actress, Hedwig Niemann-Raabe,[15] was outraged and categorically rejected Ibsen's proposed finale and demanded its remake. "She said: 'I personally would not leave my children".[16]

The actress did not understand how a mother could leave three children and destroy her family. Ibsen was

7 Ibid. p. 418.
8 Ibid.
9 Ibid.
10 Ibid
11 Ibid. p. 422.
12 A.Gelovani, 1957. pp. 23.
13 M. Tumanishvili Creates, 2004. p. 45.
14 Ibid.
15 Hedwig Niemann-Raabe-German actress.
16 A. Gelovani 1957, p. 24.

forced to compromise and create a new version of the final scene:

"Nora - goodbye! (she must go)

Helmer - So, go (grabs her hand). But first look at your children for the last time!

Nora - let me go! I do not want to see the children! I cannot!

Helmer - (forcibly leads to the children's bedroom) You must look! (Opens the door and speaks quietly) Look! Here they are sleeping ... peacefully, calmly. They will wake up in the morning, start calling their mother and - they will learn that they no longer have a mother.

Nora - (anxiously) They no longer have a mother.

Helmer - neither had you.

Nora - They no longer have a mother! (After a strong inner turmoil, the pack falls out of his hand). Oh, I sin in front of myself too, but I cannot abandon them (helplessly goes down at the door).

Helmer - (happily but calmly) Nora!"[17]

In doing so, Ibsen himself treated Nora like Laura Kieler's husband treated her, his wife as a doll and rejected the main idea of the play, for which it was written.

However, we believe that this finale and the writers' ruthless criticism: "Everything is fine, but children?" "How can children be abandoned?" became the source of inspiration for Ibsen to come up with a new play, "Ghosts," and he spoke more sharply about the result: if Nora adapted to it and stayed at home, it would not/could not be a guarantee of solving problems if a fatal outcome (unfortunately, with some regularity) could have befallen upon their family.

"Nora" and then "Ghosts" with all their might exposed all the lies on which the walls of marriage and life together were built. "Nora" caused a storm of anger. Ibsen was reprimanded for raising his hand against the inviolability of marriage. Society did not forgive Nora for abandoning her children. Ibsen responded to this outrage with "Ghosts." "Look, what could have happened if Nora had not left the house!"[18] Ibsen says.

Thus, literary heroine Nora and actress Hedwig Niemann-Raabe became the source of inspiration for the creation of a new play, "Ghosts," and the character of Fru Alving.

In plays, Henrik Ibsen always tries to finish the story so that the narration does not end and is not specified, he leaves some space where the reader/director has the opportunity to finish the story himself and warns that the finale should not be an answer and morality for the viewer.

Ibsen asks the toughest questions, and the answer to these questions is in the hands of the listener and the viewer, the reader is free to comprehend and also the viewer must be left a choice in the finale which the director interpreted.

This is one of the main features of Ibsen's work to determine and comprehend the nature of his feelings. The end of almost every play is a kind of beginning of a new one, especially "A Doll's House" and "Ghosts."

This is how all the stages related to the history of the play "A Doll's House" are inspired by personal biographies, starting with Laura Kieler and ending with actress Tamuna Nikoladze playing Nora's role in "A Doll's House" staged by me;[19] She says in one of the interviews that Nora raised her, the character taught many things and inspired her to overcome many problems in her life.

There are characters that become part of an actor's autobiography because they are inspired by documentary reality and their existence also crosses the edge of artistry and documentary, reality and imagination, real and unreal, like the lives of all of us.

Laura Kieler, Suzannah Ibsen, Nora Helmer, Hedwig Niemann-Raabe, Fru Alving, and so on—all these real and literary characters are inspired by each other and it seems that they create each other independently. It is a very logical chain that creates the artistic and documentary understanding and significance of a woman as the greatest driving force through which almost all human resistances are perceived.

A woman is a great opportunity, experience, balance and area in modern life and challenges. It, therefore, often needs to be analyzed how much power she has in society and what significant impact the female phenomenon can have on life and art, as the most sensitive conductor of great events, as a documentarian of passions

17 A. Gelovani, 1957, p. 24.

18 M. Tumanishvili Creates, 2004, pp. 45-46.

19 The premiere of the play "A Doll's House" took place on May 26, 2011 at the Free Theater.

and a rebel, and in many cases, the creator of space for asking acute and vital questions.

REFERENCES:

1. Akaki Gelovani - "Henrik Ibsen" Publishing House "Tbilisi" 1957.
2. Mikheil Tumanishvili - Thinks, Teaches, Creates ... Tbilisi 2004. Book Three. M. Tumanishvili Creates. pp. 44-47.
3. Henrik Ibsen - "Dramas" - Volume One. Translated by Bachana Bregvadze. "Irmisa" Publishing House 1994.
4. Henrik Ibsen - "Dramas" – Volume Two. Translated by Bachana Bregvadze. Deer Publishing House 1995.
5. Kakhaber Loria - "Realism in Henrik Ibsen's Dramaturgy" 2011. https://www.tsu.ge/data/file_db/scandinavian-studies/Ibsenis-Realizmi.pdf
6. Admoni. V. "Henrik Ibsen: An Essay on Creativity." 1989. Chapter 13. "A Doll's House" and "Ghosts". Chapter 11. Ibsen's "New Drama."
7. Gilenson B.A.: History of Foreign Literature of XIX - XX centuries. 2019. Chapter XI. G. Ibsen: "Architect" of "New Drama"
8. Bernard Show. "On Drama and Theater" Moscow 1963.